




საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის რუსთავის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის კოლექტივი წარმატებით მუშაობს მთელ რიგ პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ტელემექანიკა და წარმოების ავტომატიზაციასთან მეთაურგიულ, ქიმიურ და საშოპანდო მრეწველობაში.

მათ ჩვენს ქვეყანაში პირველად განხორციელეს მეოთხის კონფერენციის აგრეგატის ავტომატიზაცია რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, ქუთაისის ლიტონის ქარხნის ბარიუმის საშქარო — ოპტიმალური შემადგენლობის წარევის მიღებისათვის სხვადასხვა კომპონენტის ავტომატური რეგულირების სისტემა. ავტომატურ მუშაობაზე გადაიყვანეს ამიერკავკასიის მეთაურგიული ქარხნის ავლოუაბრაციის ავლოექსპლუატერული განყოფილება და ა. შ.



მეცნიერული  
გეგმვა

„გონიერი“ მანქანა ცვლის აღამიანს



წილს ინსტიტუტი მუშაობს ავტომატიზაციის ახალ საკითხებზე მიმდინარეობს სამუშაოები დნეპროძერჟინსკის მეთაურგიული ქარხნის მილდასამადებელი დგანის და ექსპლუატერული განყოფილების, ამიერკავკასიის მეთაურგიული ქარხნის „1411“ მილსაგონიანი დგანის, ქვანახორგამამდიარებელი ფაბრიკების კომპლექსური ავტომატიზაციისათვის.

ფოტოებზე: საპროგრამო მოწყობილობის აწეობა რგულური საბურთელო დუმლის ქველის მობრუნების ავტომატური მართვისათვის (ზემოთ); მრავალკომპონენტური წარევის ავტომატური რეგულირების სისტემის ლაბორატორიული გამოცდა (ქვემოთ).

# გეგმვა და ტექნიკა


საქართველოს მშენებლობის სამინისტრო

ქართული

№ 12

დეკემბერი

1960



## საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ორგანო

საბჭოთა საპარტოვლო 40 წლისთავისთვის

### ახალი ტექნიკა ჩაის მრეწველობაში

ინჟინერი პ. ხურცი

ჩაის მრეწველობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში. იგლისის პლენუმის მიერ აღებული გეზი — საწარმოო სიმძლავრეები გადიდეს პირველ რიგში მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების გზით — ფართოდ ხორციელდება ჩაის მრეწველობაში.

1960 წელს 38 ჩაის მოქმედ ფაბრიკაში ჩატარდა სხვადასხვა სახის რეკონსტრუქცია, დაიდგა 24 კალორიფერი, 7 ჩაის სახმობი ღუმელი, 162 მწვანე დამხარისხებელი, 72 როლერი, კოფეინის მასალის 20 საშრობი აგრეგატი. 27 ჩაის ფაბრიკაში მოეწყო საგრეხი განყოფილების კომპლექსური მექანიზაცია, რის შედეგად არასრული მონაცემებით მოქმედი ფაბრიკების სიმძლავრე გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 30000 ტ-მდე; რაც შედეგად მიგვეღო 2-3 წლის შემდეგ, მშენებლობის ყველაზე კარგი ორგანიზაციის დროს.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად სიმძლავრეების გაზრდა აჭარის ასსრ-ში მოხდა 4200, აფხაზეთის ასსრ-ში — 6 600, მახარაძის რაიონში — 6 200, ზუგდიდის რაიონში — 3 500 ათასი ტ-ით და ა. შ.

გრეხის ახალი ტექნოლოგიის დამუშავება და საგრეხი განყოფილების კომპლექსური მექანიზაცია წელს ჩაის მრეწველობის მუშაკთა ინიციატივით განხორციელდა.

თუ საგრეხი განყოფილებაში მომუშავე ერთ მუშას გასულ წელს ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით ცვლაში 12 ტ ნაგრეხი ჩაის ფოთლის მანქანებთან მიტანა, 2 მ სიმაღლეზე ორჯერ როლერში ჩატირთვა, დახარისხება და 12-14-წუნებიან როლერზე წუნების ყოველ 5-10 წუთში დაჭერა-აშვება ხელით უხდებოდა. მექანიზაციის ჩატარების შემდეგ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

ოპერაციის მართვას ცენტრალური პულტიდან ასრულებს ერთი ოპერატორი დიდიხედი თითის დაჭერით, მუშა კი ამ მოქმედებით მძიმე შრომისაგან სრულიად თავისუფალია. ამასთან ერთად უმჯობესდება ჩაის ხარისხი; უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქციის კუთრი წონა იზრდება 53-დან 60%-მდე, ჩაის იმ ფრაქციების შემადგენლობა კი, რომლებიც ხასიათდება ძლიერი ნაყენით, — 38-დან 52%-მდე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შრომის ნორმირების კვლევითი ლაბორატორიის მონაცემებით, რომელმაც ფოტოჭორონომეტრული დაკვირვებებით შეისწავლა 27 ჩაის ფაბრიკაში დანერგილი საგრეხი განყოფილების კომპლექსური მექანიზაციის შედეგები, დადგინდა, რომ ამ ღონისძიების შედეგად შრომისაყოფიერება გაიზარდა 51, ხოლო მოქმედი ფაბრიკების სიმძლავრე — 38%-ით, რაც 40 მლნ მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა.

6 მწვანე ბაიხის ჩაის ფაბრიკაში დადგმულია კონვეიერული ტიპის უწყვეტი ქმედების საფეისაციო მანქანა. ასეთი მანქანები 1961 წელს დაიდგება ყველა ჩაის ფაბრიკაში, რომლებიც აწარმოებს მწვანე ბაიხის ჩაის გამოღმუშებას. ამ მანქანების დანერგვით იცვლება მწვანე ბაიხის ჩაის გამოღმუშების მოძველებული ტექნოლოგია: ერთ პროცესად ერთიანდება დაორთქლისა და შემობრუნის წინათ არსებული ორი სხვადასხვა პროცესი; მოკლებდა ტექნოლოგიური ციკლი, ერთობილად იზრდება შრომისაყოფიერება, ხორციელდება მწვანე ბაიხის ჩაის გამოღმუშების მექანიზაცია, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი და სამრეწველო სანიტარიის პირობები.





საგრები განყოფილების კომპლექსური მექანიზაცია

დიდება და ზუგდიდის ჩაის საწნებ ფაბრიკაში მოქმედებაში შევიდა მწვანე აგურა ჩაის მშრალად წნეხის ავტომატური წნეხები, რომლებითაც ხორციელდება მწვანე აგურა ჩაის გამომუშავების სრული მექანიზაცია, მოკლდება ტექნოლოგიური ციკლი, სრულებით არ არის საჭირო საწვავი და მცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

შეიქმნა და 32 ჩაის ფაბრიკაში დაინერგა კოფეინის მასალის საშრობი ერთოკნევიერიანი მანქანა, რის შედეგად მზეზე ზუნებრივად შრობის ნაცვლად წარმოებს კოფეინის მასალის დიდმწარმოებლური მანქანური შრობა, ამან კი საშუალება მოგვცა მასალაში მაქსიმალური რაოდენობით შევიზარჩუნოთ კოფეინი.

მიმდინარე წელს 20 ჩაის ფაბრიკაში დაინერგა დახარისხების ახალი ტექნოლოგიური სქემა. ეს სქემა ამოკლებს და ამარტივებს დახარისხების პროცესს: ტექნოლოგიური ციკლიდან თიშავს ცილინდრულ დამხარისხებელ მანქანებს, ამცირებს შრომატევად სამუშაოთა მოცულობას, იძლევა მუშახელის მნიშვნელოვან ეკონომიას და აუმჯობესებს მზა პროდუქციის ხარისხს.

ამ სქემის ბაზაზე შეიქმნა და ცხაკაის ჩაის ფაბრიკაში ფართო საწარმოო პირობებში გამოიყვანა დახარის-

ხების უწყვეტი ხაზი, რომლითაც ხორციელდება დახარისხების დიდმდე არსებული მეტად შრომატევადი სამუშაოების სრული მექანიზაცია.

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტის ა. კაკალაშვილის ხრახნული ტიპის როლერის ბაზაზე გაკეთდა და საწარმოო პირობებში გამოიყვანა გრეხის და დახარისხების ახალი ხაზი დრანდის ჩაის ფაბრიკაში. ამ ხაზის შექმნით ჩაის მრეწველობის ისტორიაში პირველად ხორციელდება ჩაის გრეხა მაღალი მწარმოებლობის უწყვეტი მოქმედების მანქანებით, ერთიორად იზრდება შრომისნაყოფიერება და ხორციელდება ჩაის წარმოებაში ყველაზე შრომატევადი სამუშაოების სრული მექანიზაცია.


საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის გორის ინსტიტუტმა დაამთავრა მონტაჟი და წელს ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში ფართო საწარმოო პირობებში იცდება ჩაის სახმობი ღუმელების, კონფეიერული ტიპის საღონბი და საფიქსაციო აგრეგატების თბური პროცესების ავტომატური რეგულირება, რის შემდეგ მრეწველობაში მომუშავე 500 ასეთ აგრეგატზე ავტომატურად იქნება რეგულირებული ტექნოლოგიური პროცესებისათვის დაწესებული თბური რეჟიმები და ამისათვის საჭირო აღარ იქნება ცეცხლფარეშები.

მრავალ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებთან ერთად ჩაის მრეწველობის ანასეულის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიმდინარე წელს იცდება შავი ჩაის წარმოების ორი უწყვეტი ხაზი: ერთი, შარკოვსკის უწყვეტი მოქმედების როლერის და, მეორე, მრეწველობაში არსებული ორმაგი მოქმედების როლერის მოდერნიზაციის ბაზზე.


თბილისის ხელსაწყოების მშენებლობისა და ავტომატიკის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაკეთდა სადოქსაციო მანქანის ტექნოლოგიური პროცესების სარეგულირებელი მათემატიკური გამოსათვლელი მანქანა. მან დაამკაყოფილებელი შედეგი მოგვცა ტექნოლოგიური რეჟიმის რეგულირების სიზუსტეში. შორს არ არის ის დრო, როცა ჩაის წარმოებაში ფქსაციის, ღნობისა და ხმობის ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიური მართვა იწარმოებს ზუსტი მათემატიკური გამოსათვლელი მანქანებით.

საკვ ტენტრალური კომიტეტის იგლისის პლენუმის დადგენილება საწარმოთა კოლექტივების, სახალხო მეურნეობის საბუბოებისა და უწყებების მთავარ ყურადღებას მიაქცევს, უწინარეს ყოვლისა, ისეთ ტექნიკურ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრა საშუალებას მოგვცემს მავილოთ დიდი ეკონომიური ეფექტი და მოვიგოთ დრო ხელით მძიმე შრომის ლიკვიდაციის დაჩქარებაში.

შვიდწლედის მომდევნო წლების მზარდი გეგმებით და საქართველოს მეჩაიეთა ახალი გაზრდილი ვალდებულებებით ვათვალისწინებელი ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის გადამუშავებისა და შრომისნაყოფიერების გადიდება შეუძლებელი იქნება, თუ კვლავაც არ მოხდა ფაბრიკების რეკონსტრუქციისა და გაფართოების გზით სიმძლავრეების შემდგომი გაზრდა, თუ არ ჩატარ-



მზარდი წნების ავტომატიური წნები




სადოქსაციო მანქანა

და მრეწველობის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია; არ შეიქმნა ჩაის გადამუშავების ნაკადური ხაზები და დაბალი მწარმოებლობის მოძველებული მოწყობილობა არ შეიცვალა მაღალი მწარმოებლობის ახალი მანქანებით. ამყამდ ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გაშლილი ჩაის მრეწველობაში. მზადდება ტექნიკური დოკუმენტაცია და 1961 წლის სეზონისათვის კიდევ ჩატარდება 25 ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქცია საგაუბი განყოფილებების კომპლექსური მექანიზაციით.

მწვანე ბაიხის ჩაის მწარმოებელ 14 ფაბრიკაში დაიღვებდა სადოქსაციო მანქანები და ჩატარდება კომპლექსური მექანიზაცია, რაც მცირე თანხების დახარჯვით მოკლე დროში უზრუნველყოფს მრეწველობის სიმძლავრეების 15,0 ათას ტ-მდე გადიდებას.

ცხაკაიას ჩაის ფაბრიკაში გამოცდილი დახარისხების უწყვეტი ხაზის ბაზზე შეიქმნა და მომავალ წელს



ხრახნული ტიპის როლერი

20 ფაბრიკაში დანერგება ჩაის ნახევარფაბრიკებში და მხარისხებელი „კომბაინი“, რომლითაც მოხერხდება ჩაისის გამომუშავების რთული და მრავალჯერადი შრომატევადი ოპერაციების სრული მექანიზაცია და ერთიორად გადღიდება შრომისნაყოფიერება.

ჩატარდება ჩაის სახმობი ღუმელების მოდერნიზაცია: გამოიცდება ენტილატორები, გაკეთდება პნევმო-შნეკიანი გამოტანი. ამ ღონისძიებების გატარებით ღუმელის სადღეღამისო გამტარუნარიანობა 15 ტ-დან აყვანილი იქნება 20 ტ-მდე, რითაც 60 ტ-დან 80 ტ-მდე გადღიდება 2,5 მლნ-იანი ჩაის ფაბრიკების სახმობი განყოფილების სადღეღამისო მწარმოებლობა; გაუმჯობესდება შრომის პირობები და 60%-ით გადღიდება შრომისნაყოფიერება. გაყვანილი იქნება სატელფერო ხაზები და 20 ჩაის ფაბრიკაში ჩატარდება ფერმენტირებელი ფოთლის ღუმელებზე მიწოდების მექანიზაცია. ამის შედეგად ერთ სისტემაში გაერთიანდება საგარეხი და სახმობი განყოფილებების მექანიზაცია და მათი მართვა მოხდება მართვის პულტიდან ოპერატორის მიერ.

აღინშნულ სამუშაოებთან ერთად მიმდინარე წელს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად ჩაის მრეწველობაში ჩატარდა მრავალი საცდელი სამუშაო, რომელთა დანერგვა განუხრელად უზრუნველყოფს ქართული ჩაის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას და შეიღწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებას.

### კიდული სამკელი ЖHK-5.0

პერეომისკის ქარხნის საკონსტრუქტორო ბურომ დაამუშავა კიდული სამკელი—ЖHK-5.0-ის ახალი კონსტრუქცია. მისი მუშა პირობებია 5 მ, რაც უზრუნველყოფს ტრაქტორ „ბელარუსის“ უფრო სრულ დატვირთვას და იძლევა ამავე სამკელით მოჭრილი მცენარეების აკრების შესაძლებლობას როგორც თვითმავალი, ისე მისამბელი კომბაინით.


ЖHK-5.0-ს აქვს დამოუკიდებელი საიდი, რომელიც სამკელს საშუალებას აძლევს მიეყვანოს მიკრორელიეფის ფორმას; ეს კი უზრუნველყოფს მურტულის თანაბარ ჭრას სამკელის პირობების მიხედვით.

სამკელ ЖHK-5.0-ის ამბრავის მუშა ნაწილებია: ტრაქტორზე დადგმული ერთი რედუქტორი, ტელესკოპური ორსახსრიანი კარდანის ლოლი, სამი სოლდედური და ერთი ჩაქვური ვადაცემა და აგრეთვე მრუდხაზა-ბარბაცა მექანიზმი გამართვებელი კონსტრუქციის მხრეულით.

სამკელი აგრევატირდება MT3-5M მარკის ტრაქტორ „ბელარუსზე“.

ЖHK-5.0-ის გაბარბული ზომებია (უტრაქტოროდ): სიგრძე — 2,0 მ, სიგანე — 5,5 მ, სიმაღლე — 2,0 მ. მანქანის საშუალო სიჩქარეა 4,5-7,5 კმ/საათი, მწარმოებლობა — 3,5 ჰა/საათომდე; საერთო წონა — 600 კგ.

სამკელს მართავს ტრაქტორისტი „ბელარუსის“ პირობისტიკის მეშვეობით.



# პოლიმერების ნიმუშები -სიღებში

## 3. პათიანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქიმიასი ხელოვნური პოლიმერების გიგანტურ მოლეკულებს ღებულბენ ერთი და იგივე ნივთიერების მარტივი, ერთნაირი აგებულების მქონე მრავალი მოლეკულისაგან (მონომერებისაგან). ამჟამად ქიმიკოსებს შეუძლიათ არა მარტო მონომერების ერთნაირი მოლეკულების შეერთება, არამედ სხვადასხვა ქიმიური ბუნების ნივთიერებათა მოლეკულების ერთმანეთთან დაკავშირებაც. ამ სერის ერთობლივი პოლიმერიზაცია, ანუ თანაპოლიმერიზაცია, ეწოდება, ხოლო მიღებულ პროდუქტს უწოდებენ არა პოლიმერს, არამედ თანაპოლიმერს. აღსანიშნავია, რომ თანაპოლიმერიზაცია საშუალებას იძლევა შევხამოთ საუკის ნივთიერებათა სხვადასხვა თვისება.

ამრიგად, ეს მეთოდი ნაირგვარი პოლიმერების მიღების უშუალო წყაროს წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთი ბუნებრივი პოლიმერები, როგორიც ცილებია, თანაპოლიმერებს წარმოადგენენ. ამაში ცილების თავისებურებათა და თვისებათა მრავალფეროვნების ერთ-ერთი მიზეზი. მათი ეს თავისებურებანი კი იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული სასიცოცხლო პროცესის გამოვლელბთან, რომ, სრულიად სამართლიანი იქნება, მათ „ციცხლები პოლიმერები“ ვუწოდოთ.

რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთმა უცხოელმა მეცნიერმა აღწერა პოლიმერები, რომელთაც მან „ციცხალო“ უწოდა. მის ცდებში პოლიმერები „იბადებოდნენ“ ინიცირების\* საშუალებით, „იზრდებოდნენ“ ჭაჭვის გელატინის პროცესის გამო და „კედებოდნენ“ ჭაჭვის გაწყვეტისას. ამ მეცნიერის აზრით, პოლიმერულ ჭაჭვს შესაძლებლობა აქვს „ციცხლოს“ ვანუსაზღვრელი დროის განმავლობაში, თუკი არ მოხდება მისი გაწყვეტა და

\* პოლიმერიზაცია წარმოადგენს ჭაჭვურ ქიმიურ პროცესს. ამ პროცესის ისეთ დამატებას, როდესაც დამატებული ნივთიერება (ინიციატორი) თვითონ იშლება, „ინიციირებას“ უწოდებენ.

არ გამოილევა პოლიმერიზაციის მასალა — მიმდინარეობს. აშკარაა, რომ მეცნიერი ცდებოდა. მის მიერ მიღებული მზარდ პოლიმერს არ შეიძლება ცოცხალი ეწოდოს თუნდაც იმიტომ, რომ ზრდა არ წარმოადგენს სიცოცხლის საკმარის ნიშანთვისებას. ასეთი „ციცხალი“ პოლიმერები არსებითად არაფრით განსხვავდებიან არაორგანული მკვდარი კრისტალებისაგან, რომელთა „ზრდა“ წყველს გამოსარისკაობებულ მასალის გამოვლევისას.

მაშ რით განასხვავით ცოცხალი არაოცხალისაგან, რა შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშანთვისებად?

პასუხს ამ კითხვაზე გვაძლევს ენგელსის კლასიკური დებულება: „სიცოცხლე არის ცილოვანი სხეულები არსებობის წესი, და არსებობის ეს წესი არსებითად ამ სხეულების ქიმიური შემადგენელი ნაწილების მუდმივ თვითგანახლებაში მდგომარეობს“, რაც საკვებით დღდასტურდა მეცნიერების მთელი შემდგომი განვითარებით.

თანამედროვე წარმოდგენით, ცილის მოლეკულები მაკრომოლეკულებია — პოლიმერები. უხეშად (არასავსებით ზუსტად) რომ ვთქვათ, ცოცხალი არსებები აგებულია მაკრომოლეკულებისაგან.

მაგრამ რაში მდგომარეობს პრინციპული განსხვავება გიგანტურ (პოლიმერულ) და მცირე მოლეკულებს შორის? რატომ ათასი მცირე მოლეკულის ნარევი ვერ გაუწევს ცოცხალ ორგანიზმს მაკრომოლეკულის მაგივრობას, თუნდაც ვე უნასანგელო შეგდებოდეს ერთ პოლიმერად შეკავშირებულ იმავე ათასი მოლეკულისაგან?

განსხვავება მეტად მრავალმხრივია. პირველ ყოვლისა, მცირე მოლეკულათა ნარევეს (წარმოვიდგინოთ ათასი ერთად არსებული, მაგრამ ერთიმეორესთან დაუკავშირებელი კრისტალი) არ გააჩნია ის მოქნილობა, რომელიც სრულიად აუცილებელია სასიცოცხლო პროცესისათვის. ორგანიზმმა რომ იარსებოს, მას უნდა ახასიათებდეს, ერთი მხრივ, სტრუქტურის გარკვეული მდგრადობა, მეორე მხრივ, საკმარისი მოქნილობა, რათა ის მგრძობიარე იყოს გარეშე შეგავლენათა მიმართ და ამავე დროს საჭიროების შემთხვევაში წინააღმდეგობასაც უწევდეს მათ. ასეთი თვისებები მცირე მოლეკულათა ნარევეს არ გააჩნია, რა წესითაც არ უნდა ვანვალოთ ისინი. შევეცადოთ, კრისტალებიდან ავაგოთ სვეტი, დავეწყოთ ერთიმეორეზე ათასი კრისტალი; საკმარისია მცირე ოდენი მიკრო იმისათვის, რომ ეს სვეტი მაშინვე დაიშალოს. მაკრომოლეკულა — ჭაჭვი, აგებული მცირე მოლეკულათა იმავე რაოდენობისაგან, ასეთ ბიძგებს ადვილად გაუძლებს.

გარდა ამისა, ცოცხალი ორგანიზმი ყოველთვის გარკვეულ ნივთიერებადობით ხასიათდება, ე. ი. ყოველ ცალკეულ ორგანიზმს გააჩნია თავისი განსაკუთრებული, წმინდა ინდივიდუალურ თვისებებებათა გამოხატულება ნიშანთვისებები. საკმარისია შევხედოთ ერთიმეო-

რეს, რომ დაერწმუნდეთ ამაში, მაგრამ აქ საკმე მხოლოდ გარეგნულად განსახვევებელ ნიშნებში რჩოდა. კრისტალები, რომლებიც ჩვენ მცირე მოლეკულებს მივანსებავენთ, შესაძლებელია განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან გარეგანი ფორმით და ოდენობით, ხოლო მათი ქიმიური შედგენილობა კი სრულიად ერთნაირი იყოს. ორგანიზმები, პირიქით, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო გარეგნულად, არამედ მათ შორის ყოველთვის არსებობს განსხვავება ქიმიური შედგენილობის მხრივ. ეს განსხვავება ბევრადაა დამოკიდებული მათ შემადგენელ პოლიმერზე შორის არსებულ სხვადასხვა უფრო მცირე, განსხვავდებიან არა მარტო ის პოლიმერები, რომლებიც სხვადასხვა ინდივიდს (ორგანიზმს) ეკუთვნიან, არამედ ერთი და იმავე ორგანიზმის პოლიმერებიც ცვალებადობენ. ავიღოთ თუნდაც ისეთი რთული ორგანიზმის არსება, როგორცაა ადამიანი. მის სისხლში, გარდა ყველასათვის ერთნაირი ფერადი ნივთიერების — ჰემოგლობინისა, რომელიც ბოლს წარმოადგენს, არსებობს სხვა ცილა — ალბუმინიც. ხოლო დროს დადგენილ იქნა, რომ ამ პოლიმერის თვისებები განსხვავდებიან არა მარტო ცალკეულ პარეზში, არამედ დროის სხვადასხვა მომენტში ერთსა და იმავე ადამიანის ორგანიზმშიც. ცვალებადობის ასეთი უნარი მცირე მოლეკულებს არა აქვს. მაგალითად, სუფრის მარილი — მცირე მოლეკულების მქონე ნივთიერება — ყველა ცოცხალი ორგანიზმის შემადგენლობაში შედის, მაგრამ მისი თვისებები ჩვენს პლანეტაზე მონიხრადი მილიარდობით ორგანიზმში სხვაგვარად ერთი და იგივეა. სხვა სიტყვებით, მცირე მოლეკულები მოკლებულია ინდივიდუალობას, ხოლო პოლიმერის მაკრომოლეკულებს გააჩნია ინდივიდუალობა, სტრუქტურის სპეციფიკურობა. ეს თვისებები მეტისმეტად მნიშვნელოვანია ცოცხალი ორგანიზმების „აგების“ თვალსაზრისით. საკმარისია ითქვას, რომ სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ყველა ნივთიერებას ახასიათებს ე. წ. სტრუქტურალური სპეციფიკურობა. ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ ცოცხალ ბუნებას გააჩნია ასეთი ნივთიერების წარმოქმნის უნარი. თითხი წელია მას შედეგ, რაც მეცნიერებმა შეძლეს ამგვარი პოლიმერების ხელოვნურად მიღება და ამით ამოხსნეს იქნა ბუნების ეს საიდუმლოება.

ყოველ არსებას ცხოველყოფილობის შესანარჩუნებლად ესაჭიროება ენერჯია. ადამიანი და ცხოველები ღებულბენ მას საკვებიდან. თუ მცირე მოლეკულები ფრადი ღარიბია ენერჯიით, პირიქით, მოლეკულები გივატებმა, მათ რიცხვში პოლიმერებიც, შეიცავენ ენერჯიის დიდ მარაგს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანისა და თბილისისლიანი ცხოველების ორგანიზმი საჭიროებს გარედან ენერჯიის მიწოდების სახეის ტემპერატურის ნორმირებლად ღონის დაცივისათვის. გარდა ამისა, ცხოველურ ორგანიზმში მუდმივად წარმოებს სხვადასხვა სახის მუშაობა (ძილის დროსაც კი მოქმედებს ჩვენი გული, ფილტვები, მოძნელებელი ორგანოები და სხვა), რაც

ავრთვე ენერჯიის ხარჯვას მოითხოვს. ეს ენერჯია მიღება საკვებად მიღებული ნივთიერებების უფლებზე დაშლის გზით. საკვებ ნივთიერებებში მარჯველად არსებული ქიმიური ენერჯია ვადალს მექანიკურ ენერჯიად და ეთიერალულად გამოიყოფა სიბთო.

ჩვენ უკვე დაივანხეთ, რომ მცირე მოლეკულები ენერჯიის მნიშვნელოვან მარაგს არ შეიცავს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მაკრომოლეკულებს აქვს უნარი — გარდაქმნას ქიმიური ენერჯია მექანიკურად, და პირიქით, და ამით უზრუნველყოს მუშაობისა და თვითგანახლების პროცესების მუდმივი მიმდინარეობა ადამიანისა და ცხოველების ორგანიზმში.

განსხვავება მცირე და გიგანტურ მოლეკულებს შორის შემდგომში შეიძლება კარგომეტყუნდეს. ქიმიკოსებისა და ბიოლოგებისათვის გააგება ცნობილი ე. წ. ბროუნის მოძრაობა. ეს მოვლენა (სახელწოდება დაკავშირებულია მის აღმოჩენ ბოტანიკოს ბროუნის სახელთან) მდგომარეობს არში ან სითხეში შეწონილ მდგომარეობაში მყოფ მცირე ნაწილაკების მუდმივ, ქაოსურ მოძრაობაში. ბროუნის მოძრაობის ბუნება კარგადაა შესწავლილი, ის წარმოადგენს გარემო არეში არსებული მოლეკულების თბური მოძრაობის შედეგს. მოლეკულები ყოველი მხრიდან უწყსრივად ეჯახება ყოველ მოცემულ ნაწილაკს და იწვევს მის ქაოსურ გადაადგილებას. მცირე მოლეკულები იმყოფება ასეთი თბური ძრაობის მდგომარეობაში და ამიტომაც მათი განლაგება სრულიად მოუწესრიგებელია. მართალია, მათი მოძრაობა შეიძლება შევაჩეროთ ტემპერატურის მკვეთრი დაწვევის გზით, მაგრამ დაბალ, 0°C ტემპერატურაზე ყველა ქიმიური რეაქცია იწყდება. მაკრომოლეკულების სითბური მოძრაობა არ იწვევს მათი თვისებების შეცვლას და არ ამოგვებს ჯაჭვში მათი განლაგების თანმიმდევრობას. თუ რაიმე შემოქმედების შედეგად წყდება ქიმიური კავშირები პოლიმერის სხვადასხვა ნაწილს შორის, ან ხდება მისი ჯაჭვის ზოგიერთი რაგონის ჩანაცვლება ახალი რაგლით, მაინც შესაძლებელია მოლეკულა არსებითად არ შეიცვალოს, განავარობს ფუნქციონირება როგორც ერთმა მთლიანმა. ეს მეტად მნიშვნელოვანი თვისებურება ასხვავებს პოლიმერებს მცირე მოლეკულებსაგან; მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე პროცესებისათვის. ბიოქიმიკოსები ამბობენ, რომ ასეთ მაკრომოლეკულას „ზოქსიერება“ გააჩნია.

„მეხსიერების მქონე მაკრომოლეკულა“ უჩვეულო გამოთქმაა, მაგრამ მრავალი მეცნიერი თვლის, რომ მაკრომოლეკულებს შეუძლია ინფორმაციის „ჩაწერა“, მისი „დამახსოვრება“ და შთამომავლობით გადაცემა, და რომ სწორედ ამაში მდგომარეობს ავტორგეპროდუქციის პროცესის ქიმიური მექანიზმის არსი. რა სახის ინფორმაცია, ანუ რა ხასიათის ცნობები, იგულისხმება აქ? — უდავოდ, ცნობები იმის შესახებ, თუ რა თანმიმდევრობითაა განლაგებული ქიმიური „რაგოლები“ პოლიმერულ ჯაჭვში.



პოლიმერის მაკრომოლეკულის ინდივიდუალური თავისებურება ბევრადა დაყოფილებული მაკრომოლეკულის ჯაჭვში რგოლების სპეციფიკურ თანმიმდევრობაზე. დიდ როლს ასრულებს აგრეთვე მთლიანი პოლიმერული ჯაჭვის თვისება — მიიღოს გარკვეული კონფიგურაცია და, შესაძლოა, მადრთობის ის სხვა მოლეკულასაც. კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ასეთი თვისებები მცირე მოლეკულებს არ გააჩნია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი ნარევი მეტად მრავალფეროვანია და მათ დიდი რაოდენობით შეიცავს.

პოლიმერების თვისებების ჩამოთვლა შეძლებვა კიდევ გავვერტილებოდა, მაგრამ დავეყვარებოდეთ ზემოთქმულთ და დავებრუნდეთ ცილებს როგორც პოლიმერებს. რას წარმოადგენს „ციცხალი“ პოლიმერები?

70 წლის წინათ რუსი მეცნიერი ლუბაზინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოველი ცილა აგებულია ერთი და იმავე რგოლებისაგან — ამინომჟავებისაგან. მისი წინასწარჭერება მიადრთობდა. რა არის საერთო პუნქტირებ აბრუმში, შედგებულს სისხლის კოლტს, ხორცს, ფრჩხილებს, ყველსა და ქელტინს შორის? მხოლოდ ის, რომ ისინი შედგებიან ცილებისაგან. თუკი ასეა, მაშ რამდენად განსხვავებული უნდა იყვნენ ეს ცილები ერთიმეორისაგან. ამავე დროს ყველა ჩამოთვლილი და ყოველი სხვა ბუნებრივი ცილა დაშლისას იძლევა ერთსა და იმავე ქიმიურ ნაერთს — ამინომჟავებს. ამჟამად ცნობილია ოცამათამდე ასეთი ამინომჟავა. ამინომჟავები შედის ცილოვანი თანაპოლიმერის შემადგენლობაში, სადაც ჯაჭვის მთელ სიგრძეზე ხშირად მეორდება და სხვადასხვანაირად მონაწილეობს. ცილოვანი მოლეკულისათვის ყველაზე უფრო ამბასასიათებელია ის თანმიმდევრობა, რომლითაც ცალკეული ამინომჟავები მისდევენ ერთმანეთს; ამინომჟავების დაკავშირება (ერთისა მეორესთან) წარმოებს ე. წ. პეპტიდური კავშირის საშუალებით.

რა ხასიათისაა ქიმიური კავშირი ამინომჟავათა შორის? საქმე ისაა, რომ ამინომჟავები „ორპირა“ ნაერთებია. ისინი ერთდროულად წარმოადგენენ მჟავებსაც და ტუტეებსაც. ამინომჟავას მჟავურ ჯგუფს კარბოქსილის უწოდებენ, ტუტე ჯგუფს — ამინოჯგუფს (ამონიაკის ნაშთია, შეიცავს აზოტს). ერთი ამინომჟავას კარბოქსილის შემერთება მეორე ამინომჟავას ამინოჯგუფთან იძლევა პეპტიდური კავშირს. მიღებულ ნაერთს პეპტიდი ეწოდება, ხოლო ამინომჟავათა მრავალი მოლეკულის ნაერთს — პოლიპეპტიდი. ამრიგად, ცილოვანი თანაპოლიმერის ჩონჩხს პოლიპეტიდური ჯაჭვი წარმოადგენს.

ასეთი ჯაჭვების რიცხვი და სიგრძე სხვადასხვა ცილაში სხვადასხვაა. გარდა ამისა, ამინომჟავური რგოლების რიცხვი, მათი ურთიერთთანაფარდება და თანმიმდევრობაც ყოველ ცილაში თავისებურია. ამ უჩანასკნელთა 10 წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა არა მარტო პოლიპეტიდური ჯაჭვების ქიმიური შენების

შესწავლა, არამედ ანალიტიკური შენების მქონე ნაერთების ხელოვნური მიღებაც კი. მართალია, ამ გზით მიღებული თანაპოლიმერების მოლეკულები სიდიდით ვერ აღწევენ ბუნებრივი ცილების გიგანტურ მოლეკულებს, მაგრამ მინიმუმადეა ის ფაქტი, რომ სინთეზურად მიღებული ნაერთები სრულიად იდენტურია ციცხალ ორგანიზმში არსებული ნივთიერებებისა. დიდი შეცდომა არ იქნება, თუ ამგვარ ხელოვნურ პოლიმერებს ჩვენ „თითქმის ციცხალ პოლიმერებს“ ვუწოდებთ.

პოლიპეტიდური ჯაჭვები სხვადასხვაგვარ სიგრძელს განაღებს იძლევა, ისინი ქმნიან სპირალებს, გორგლებს და სხვ. პოლიპეტიდური ჯაჭვები შესაძლებელია მეტნაყვლება მეტკიცად დაუთავშირდეს ერთმანეთს, ანუ განლაგდეს ერთიმეორის გვერდით ფაშარად ან კომპაქტურად. მათი „ჩაწყობის“ წესი, როგორც მას ბიოქიმიკოსები უწოდებენ, განაპირობებს ცილების მრავალ თვისებას, ხოლო ცილის პოლიპეტიდური ჯაჭვის დახვევა ან გავლა საფუძვლად უდევს ყველა ცხოველისა და მცენარის უფერადი ციცხალი ნივთიერების თავისებურ „ქცევას“. როგორ ვავივით ეს? ვაეხსენოთ, რომ პოლიპეტიდური ჯაჭვი შედგება სხვადასხვა ამინომჟავის მრავალი ნაშთისაგან. ამინომჟავათა ნაშთები მეტად აქტიური ნაერთს წარმოადგენს და ამიტომ სხვადასხვა ნივთიერებასთან ნაირგვარ ქიმიურ რეაქციასში შედის. თუ ამინომჟავათა ნაშთები ღრმად მდებარეობს ვეებერთელა ცილოვანი მოლეკულის წიაღში, მაშინ ისინი მცირე აქტიურობას იჩენენ. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მოლეკულამ, ასე ვთქვათ, გარეთ გამოიშვირა ეს თავისი ქიმიური საცეცხები, ასეთი მოლეკულა ქიმიური თვალსაზრისით იარაღსმულია, ის „ბრძოლისათვის“ მზადყოფნის მდგომარეობაში იმყოფება.

ამრიგად, ცილოვანი პოლიმერების უნარი — შეიკავშირონ წყალი და სხვადასხვაგვარი არაორგანული და ორგანული ნივთიერებები, მათი რეაქციის უნარი სხვა ნივთიერებათა მიმართ და ურთიერთმიმართ დაბოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ქიმიურად აქტიური ჯგუფები მის ზედაპირზე და რომელია „შემალული“ მის სიღრმეში.

ფორმის ცვალებადობა, რომელსაც ცილის მოლეკულა განიცდის, განაპირობებს მისი თვისებების შეცვლას და უნარს — შევიდეს ამა თუ იმ ქიმიურ რეაქციაში. ასეთ ცვალებადობას ჩვეულებრივ ცილის დენატურაციას (მისი უნების შეცვლას) უწოდებენ.

რა ფორმა აქვს ცილის მოლეკულას? ბოლო დროს შემუშავებული კვლევის მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა პასუხი გავცეთ ამ კითხვას. მრავალი ცილა შედგება მომრგვალო ნაწილაკებისაგან, რომელიც ბუთიულის ფორმა აქვთ. ამასთან დაკავშირებით ამგვარმა ცილებმა გლობულარული სახელწოდება მიიღო (ლათინურად „გლობულუს“ ბურთულას ნიშნავს).

გლობულარული ცილები დიდ როლს ასრულებს

ცოცხალ ორგანიზმებში. მათ ეკუთვნის წყალში და მარილის წყალხსნარებში ხსნადი ცილები. გლობულარულ ცილებს შეიცავს, მაგალითად, სისხლის შრატში. ამ შემთხვევაში ცილოვანი ნაწილაკის ფორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის ნაადთან გადაადგილების თვალსაზრისით. სფეროსებრი ან კვერცხისებრი ფორმის მოლეკულები უფრო ადვილად გაიტევიან<sup>1</sup> კაპილარულ სისხლძარღვებში.

გლობულარულ ცილებს გარდა, ფართოდაა გავრცელებული ისეთი ცილები, რომელთა ნაწილაკებს უწვრილესი ძაფების, ანუ ბოჭკოების, ფორმა აქვთ. ამგვარ ცილებს ბოჭკოვანი, ანუ ფიბრილარულს, უწოდებენ („ფიბრილა“—ბოჭკო). კუნთებში, კანი და ადამიანის ორგანიზმის მრავალი სხვა ქსოვილი აგებულია ამგვარი ბოჭკოვანი, ანუ ფიბრილარული, ცილებისაგან. გლობულარულსა და ფიბრილარულ ცილებს შორის მრავალი გავიანძვალა ფორმა არსებობს. ამიტომ მათ შორის მკვეთრი საზღვრის დადება შეუძლებელია.

მდგრადი და ცვალებადი — ასე წარმოვიგებოდა გილის ვეგეტოელა მოლეკულა, რომელიც ინარჩუნებს თავის შინაგან სტრუქტურას და ამავე დროს მდგრად კარგავს მას. ჩვენ დავინახეთ, რომ ამგვარი თვისებები არ შეუძლება გაინდეს მცირე მოლეკულებს, ხოლო, რადგან ამ თვისებათა მატარებელი შესაძლებელია მხოლოდ პოლიმერი იყოს და განსაკუთრებით კი თანაპოლიმერი, რომლის გიგანტურ მოლეკულაში ჩნდება ახალი, თვისობრივად განსხვავებული თავისებურებანი რაც სიცოცხლისათვისაა დამახასიათებელი, ჩვენ ცილებს სრული უფლებით შეიძლება ვუწოდოთ „ცოცხალი“ პოლიმერები.

უქანასკნელი ათი წლის განმავლობაში წარმოებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ამ სახეწოდების ტარების „ლორსად“ შეიძლება ჩაითვალოს უხილავი სამყაროს სხვა გიგანტებიც — ნუკლეინის მჟავები.

## ტრაქტორი გადაცემათა კოლოფის გარეშე


აშუ.ში, ჩიკაგოში, „ინტერენჯინ“ ჰარვერსის<sup>1</sup> კომპანიაში შექმნა ტრაქტორი, რომელსაც არა აქვს გადაბმულობის ქურო, სამუხრუჭე სატრეფლო, ტრანსმისიის შუალედი ლიდვი, სტანდარტული ტრანსმისია, დიფერენციალი და უკანა წამყვანი დირი. ტრაქტორის უკანა ნაწილი ეყრდნობა ჩანჯალს, რომელიც მოქმედებს როგორც კონსტრუქციის ელემენტი. ტრაქტორზე სიმძლავრე ძრავადან უკანა წამყვან თვლებზე გადაცემა ჰიდრავლიკური ტრანსმისიის საშუალებით (ე. ი. გადაცემათა კოლოფის, კარდანების, რედუქტორისა და დიფერენციალის გარეშე).

ჰიდრავლიკური ტრანსმისიის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: 1. წამყვანი ჰიდრატუმბო, რომელიც ბრუნვაში მოდის ძრავასაგან; 2. ჰიდრატრანსმისიის საფენი მილები; 3. წამყვან თვლებში მოთავსებული რადიალური ჰიდროძრავები; 4. ტრაქტორის მართვის სახელური; 5. მოქანავე დისკო და 6. დგუშოანი ტუმბო.

ტრაქტორის წინ მოძრაობისათვის საჭიროა მართვის სახელურის წინა გადაწევა. მისი ნიეტრალურ-ვერტიკალურ მდგომარეობაში მოთავსებთ ჩაიქტება ჰიდრატრანსმისიის საფენები და შეწყდება მათში წეთის დინება. რადგან წეთი უკუშვადია, იგი ამ დროს ტრანსმისიაში იგვიე მოვალეობას შეკარგულებს, რასაც სამუხრუჭე სიხვე ვტომობილის ჰიდრავლიკურ სამუხრუჭე სისტემაში; მართვის სახელურის უკან გა-

დაწეით ტრაქტორი იმოძრავებს უკუ-სივლით.

რადგან ჰიდრატრანსმისიაში გამოყენებული სიხვე (წეთის სახით) უკუშვადია, ამიტომ ტრანსმისიის საფენი მილებით წა-



ყვანი თვლების ჰიდროძრავების შერთება ჰიდრატუმბოსთან დადებითია. ამ დროს უღვილი არა აქვს თვლების მოკიდებებს და ტრაქტორის ძრავს არ უხდება გაიდვებულ ჰიდრავთა რევიმებზე მუშაობა.

ჰიდრავლიკური ტრანსმისიის გამოყენების შემთხვევაში ძრავს მუდმივი ბრუნვის

დროს შესაძლებელია ძრავს დროსიორებით სიმძლავრის აღება და ტრაქტორის მოძრაობის სიჩქარის ცვლა ჰიდრატრანსმისიის მეშვეობით.

ამუხად ჩვეულებრივ ტრანსმისიანი ტრაქტორი უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჰიდრატრანსმისიანი, რადგან ტრანსმისიის ნაწი-

ლებსა და კვანძების დამზადება მოითხოვს მეტ სიზუსტეს და შესაბამისად დიდ ხარჯებსაც. მიუხედავად ამისა, ჰიდრატრანსმისიანი ტრაქტორის მრავალი დადებითი თვისებების გამო ეს ნაკლი ხელს არ შეუშლის სოფლის მეურნეობაში მის დაწერვას.

# საქართველო სსრკ-ის მიმოხევის კვანძი

უკანასკნელი წლები ქიურგის კიდეც ერთი ახალი მიღწევით აღინიშნა. მკურნალის ხელი შეეხო ადამიანის ორგანიზმის ისეთ მიუწვდომელ ორგანოს, როგორცაა გული. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა გულზე ოპერაციები შესაძლებელი გახადა არა მარტო მისი კრილობის შემთხვევაში, არამედ სხვადასხვა დაავადების დროსაც.

ასეა, როდესაც ანალიზს უკეთებთ განვილი გზას, გვაოცებს ის, რაც დროის ამ ციურე მონაკვეთში იქნა მოპოვებული.

ჯერ კიდევ 1883 წელს გამოჩენილი გერმანელი ქიურგი თეოდორ ბილროტი წერდა: „ქიურგია, რომელიც გულის კრილობის გაჭრას შეეცდებოდა, კოლეგების პატივისცემა უნდა დაკარგოს“. ეს სიტყვები იმ პერიოდის ქიურგიათა ერთგვარ კრდოს წარმოადგენდა.

წარსლის დიდმა ომებმა აიძულა ქიურგები აქტურად ემყოფიდათ გულის კრილობებისა და გულში უცხო სხეულების (ტყვია, ნამსხვრევი) მოხვედრის შემთხვევაში. წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილება და თანდათან მოპოვებული მიღწევები შეგამებულ იქნა აკადემიკოს ი. ჯანელიძისა (1927 წ.) და ფინელი ქიურგის სეიროს (1932 წ.) მონოგრაფიებში.

შემდეგში ქიურგებს შესაძლებლობა მიეცათ უფრო ფართოდ ეწარმოებინათ გულზე ოპერაციები არა მარტო მისი კრილობის, არამედ იმ დაავადების დროსაც, რომელთა მკურნალობა გულის კედლის გაუხსნელადაა შესაძლებელი.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მიღწევებმა: გაუტყვიარების ახალი წესების დამუშავებამ, მიკრობების საწინააღმდეგო საშუალებების (ანტიბიოტიკების) ფართო გამოყენებამ და გულის დაავადებათა დიაგნოსტიკის ისეთი წესების შემოღებამ, როგორცაა გულში ზონდისა და კონტრასტული ნივთიერებების შეყვანა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება რენტგენის აპარატით კონტრასტის ქვეშ სხვადასხვა დაავადების ზუსტი დიაგნოსტიკა, ქიურგებს საშუალება მისცა ოპერაციები ეწარმოებიათ გულის სარქველებსა და ძვლებზე, რათა მათი დეფექტების შემთხვევაში შესაძლებელი გამხდარიყო ორგანიზმის დარღვეული სისხლის მიმოქცევის კორექტირება. ამ ამოცანის ვადაპირის აუცილებლობა აშკარა გახ-

დება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში ყოველდღიურად გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებულნი 2.000 ბავშვი იბადება, ე. ი. 1 ყოველ მილიონ მოსახლეზე, ხოლო სხვადასხვა დაავადების შედეგად შექმნილი მანკების რიცხვი თანდაყოლილისას მნიშვნელოვნად აღემატება. შეიძლება ითქვას, რომ ეს მონაცემები არა ზუსტია, რადგან უეჭველია, რომ თანდაყოლილი მანკით დაავადებული ბავშვი არასწორი დიაგნოზით სიცოცხლის პირველ წლებშივე იღუპება.


პირველ ხანებში გულის მანკების ოპერაციები თვალის კონტრასტის გარეშე — ბრმად კეთდებოდა. გულზე იქმნებოდა პატარა ხვრელი, რომელშიაც იარაღით ან თითი შედიოდნენ და აწარმოებდნენ მხოლოდ შევიწროებული ხვრელის გაგანერგებას. უკანასკნელ ხანებში დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ ოპერაციები გაკეთდეს თვალის კონტრასტით — სისხლის მიმოქცევიდან გამოთიშულ გულზე. ამ მიზნის განსახორციელებლად არსებობს სამი გზა: 1. მშობლის სისხლძარღვების ჯვარედინი შეერთება ბავშვთან, 2. ორგანიზმის ტემპერატურის ხელოვნური დაქვეითება — პაოთოგენითა და 3. ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატის გამოყენება.

პირველი გზა მრავალი მოსაზრების გამო მიუღებელია, იგი ზოგჯერ ბავშვისა და მშობლის სიცვლითაც კი დამთავრებულია.

შედარებით კარგი შედეგებია მიღებული გაცივებულ ორგანიზმზე ოპერაციის წარმოების დროს. ორგანიზმის ხელოვნური გაცივებისას კლებულობს მისი ქსოვილების მოთხოვნილება ჟანგბადის მიმართ, მაგრამ ამ დროს სისხლის მიმოქცევის შეწყვეტის შესაძლო დროც განსაზღვრულია, იგი 8-12 წთ-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამგვარად, ამ წესის გამოყენებით მხოლოდ ისეთი მანკების მკურნალობა შეიძლება, რომელთა კორექცია 8-12 წთ-ის განმავლობაშია შესაძლებელი.

გულის თანდაყოლილი მანკების 100 ცნობილი სახიდან 70-ის ოპერაციული მკურნალობა მხოლოდ გულის სისხლის მიმოქცევიდან ხანგრძლივი გამოთიშვითაა შესაძლებელი. ამის გამო ბუნებრივად დაისვა საკითხი შექმნათ მისი შემცველი აპარატი, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა გულისაკენ მიმდინარე ვენური სისხლის მიღება, მისი დაქანება — ოქსიგენაცია და სათანა-

დო მოცულობით, წნევითა და სისწრაფით უკან, არტერიულ სისტემაში, დაბრუნება. ეს დრო კი უნდა გამოყენებიათ თვალის კონტროლით ღია და „მშრალ“ გულზე სათანადო ოპერაციებისათვის.



ნახ. 1. აპარატის საერთო ხედი

პირველი ასეთი ხელსაწყო, დამზადებული ს. ბრუხონენკოს მიერ 1928 წელს, მხოლოდ ექსპერიმენტისათვის გამოიყენებოდა. 1953 წელს ინგლისში დ. მელროზის მიერ დადგმარებულ იქნა ორიგინალური აპარატი. შემდეგში ასეთივე აპარატები შეიქმნა ამერიკაში, შვეიცარიაში, საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებში. ამ აპარატებმა ხანგრძლივი ექსპერიმენტული კვლევის გზა განვლო, ხოლო ავადმყოფზე წარმოებული ოპერაციების შესახებ პირველი დაკვირვებები 1955 წლის მისში იქნა გამოქვეყნებული. ამჟამად ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატი თანდათან დიდ გავრცელებას პოულობს მთელს მსოფლიოში. სოციალისტური ქვეყნებიდან საკუთარი აპარატი აქვთ ჩინეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთსა და პოლონეთს.

ჩვენ შესაძლებლობა გვაქონდა გავცნობოდა ხელოვნური სისხლის მიმოქცევის რამდენიმე აპარატს: კერძოდ, ინგლისური (მელროზის), ამერიკული (გიონის) და საბჭოთა აპარატების მუშაობას. ამჟამად ვმუშაობთ სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთა ჯგუფის მიერ (ხელმძღვანელი აკადემიკოსი კ. შიშკა) დადგმარებული აპარატით, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტმა მიიღო საჩუქრად იმ შემოქმედებითი თანამშრომლობისა და მეგობრობის ნიშნად, რომელიც უკანასკნელ ხანებში დამყარდა ამ ორ დაწესებულებას შორის.

სლოვაკი მეცნიერები 1956 წლიდან მუშაობენ ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატის შესაქმნელად. ამ აპარატით მათ მიერ დღემდე გულის 90 ოპერაციაა ჩატარებული, ამთავან უკანასკნელი ოპერაცია გაკეთებულია ჩვენს დაწესებულებაში. აპარატის კლინიკურმა გამოყენებამ ცხადყო, რომ მას ყველა დღემდე არსებულ აპარატებთან შედარებით გარკვეული უპირატესობა გააჩნია.

ამ აპარატის კონსტრუქციის იდეა ეკუთვნის დოცენტ ი. შიმკოვიცს. იგი შექმნილია სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ზუსტი ხელსაწყოთა ლაბორატორიაში ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ინჟინერ ი. ბოლფის მიერ. აპარატი მარტივი კონსტრუქციის, ადვილად გადასატანი და მოსახერხებელია.

მისი ძირითადი ნაწილებია: 1. ოქსიგენატორი, ანუ ხელოვნური ფილტვი; 2. პერფუზიული დაგუშების ბლოკი, ანუ ხელოვნური გული; 3. რეზერვუარები; 4. ფიზიოლოგიურ კომუნიკაციათა ნაწილი — აპარატის ცალკეული სისტემებისა და აპარატის ორგანიზმთან დამაკავშირებელ გაყვანილობათა სისტემა; 5. მართვის სისტემა და 6. ძრავა.

ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატი ნორმალური მუშაობისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იძლეოდეს სათანადო წარმოებით ძალას, ავითარებდეს საჭირო წუთობრივ მოცულობას, რაც შეიძლება შეცვლილი იყოს პერფუზიის (სისხლის მიწოდება) მსვლელობაში; ოქსიგენატორი უზრუნველყოფდეს სისხლის სათანადო გაყვრებას ქანგბადით; ვენური სისხლიდან დროულად განიდევნოს ზედმეტი ნახშირორჟანგი; აპარატი იცავდეს ორგანიზმის სათანადო წნევასა და ტემპერატურას; აპარატის მაგისტრალებში სისხლმდინარეება ერთი საათის განმავლობაში არ უნდა იწვევდეს ჰემოლიზს ან სისხლის შედეგებას.

აპარატის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია ოქსიგენატორი. იგი უმთავრესად სამი ტიპისაა: ფიზიკურიანი (მელროზის ტიპისაში), დიფუზიურიანი (გიონის ტიპისაში) და ქიმიური; ეს უკანასკნელი დამახასიათებელია საბჭოთა აპარატის ოქსიგენატორისათვის.

ოქსიგენატორში სისხლი ჩადენება ზემო და ქვემო დრუ ვენებში მოთავსებული პოლივინილქლორიდისაგან დამზადებული მილებით. სლოვაკური აპარატის ოქსიგენატორი წარმოადგენს უქანგავი ფოლადისაგან დამზადებულ ცილინდრული ფორმის ქურჭელს. მის მთელ სიგრძეზე ცენტრში მოთავსებულია ღერძი, რომელზედაც განლაგებულია ტორალსებრი ზედაპირის მქონე დისკოები. ღერძი მოძრაობს მიყავს ძრავს. მისი ბრუნვის სიქარე წუთში შეიძლება შეიცვალოს 0-დან 130 ბრუნამდე. ოქსიგენატორში იმდენი სისხლი უნდა ჩაისხას, რომ იგი ფარავდეს დისკოების ზედაპირს 1/3-ს. მის ზემოთ არსებული ხვრელიდან მოედინება ქანგბადი წუთში 10 ლიტრის რაოდენობით. თითოეული დისკოს ზედაპირი შეადგენს 275 სმ<sup>2</sup>. 60 დისკოს გამოყენებისას, თუ მათ წუთში 120-ჯერ ვაბრუნებთ, სისხლის დასაყენებელ ზედაპირი იზრდება 196 მ<sup>2</sup>, ხოლო 100 დისკოს გამოყენებისას — 330 მ<sup>2</sup>-მდე. ასევე დროს პირველ შემთხვევაში დისკოს ზედაპირს ეკვრის დაახლოებით 80-120 მლ. ხოლო მეორე შემთხვევაში კი — 120-დან 200 მლ-მდე სისხლი. 80-120 მლ დაყენებული სისხლის რაოდენობა სრულიად საკმარისია ბავშვის ორგანიზმისათვის, ხოლო 120-200 მლ სისხლი კი — მოზრდილი ადამიანისათვის. დისკოების საფეხსაცმო ღერძის მოძრაობა არ უნდა აღემატებოდეს 120 ბრუნს წუთში, რადგან მეტი სისწრაფით ბრუნვის დროს სისხლი ქვევდება. ამის თავიდან ასაცილებლად სასურველია დისკოებზე ქაფის შთანთქმელების — პოლიმეთილსლოქსანის წასმა.

პერფორირებული მსველობაში ოქსიგენატორში სისხლი მუდმივად ერთ დონეზე უნდა იყოს, ისე რომ ფარავდეს დისკოების ზედაპირის მესამედს, რადგან ამ დროს მაქსიმალურადაა გამოყენებული ოქსიგენატორის ეანგვეითი უნარი. ოქსიგენატორში სისხლის დონის ცვლილება ადვილად შეიძლება გამოიწვიოს არტერიული რეზერვუარის ზემოთ და ქვემოთ მოძრაობით. სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს სათადარიგო სისხლი.

პერფორირებული დგუშების ბლოკი ძირითადად ორი ტიპისაა: მუშტა და როტაციული. სლოვაკურ აპარატს აქვს ინჟინერ ბოლფის მიერ დავაგმარებული მემბრანული ტიპის დგუშები, რომლებსაც როტაციულ და მუშტა დგუშებთან ის უპირატესობა აქვს, რომ აპარატის წარმოებითი ძალის შესაცვლელად არაა საჭირო მილების დიამეტრის შეცვლა. დგუშების წარმოებითი უნარი შეიძლება მექანიკურად შეცვლილი 0-დან 5 ლ-მდე წუთში. ეს მთლიანად აკმაყოფილებს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომელიც ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატებს წაეყენება. 30 კგ-მდე წონის მქონე ავადმყოფებზე სისხლის მოთხოვნის დაცვას დასაყენებლად საკმარისია მხოლოდ ერთი დგუშის მიერ გადაღწეული სისხლი, მეტი წონის შემთხვევაში კი შეიძლება ორივე დგუში იქნეს მოყვანილი მოქმედებაში.


რეზერვუარები — ცილინდრული ფორმის ქურჭული ვენური და არტერიული სისხლისათვის დამზადებული უქანგავი ფოლადისაგან. პირველის ტევადობაა 1600 მლ, ხოლო მეორისა — 2000 მლ. ორივე რეზერვუარს გვერდზე აქვს სისხლის დონის მაჩვენებელი მინის სვეტი.

ფიზიოლოგიურ კომუნიკაციათა ნაწილი, ანუ აპარატის ცალკეული ნაწილებისა და აპარატის ორგანიზმთან დამაკავშირებელ გაყვანილობათა სისტემა, წარმოადგენს პოლივინილქლორიდისაგან დამზადებულ მილებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია უქანგავი ფოლადის ქურჭოებით.

აპარატის მართვის სისტემა მოთავსებულია მის წინა ნაწილში. იგი შეიცავს დგუშების, ოქსიგენატორისა და ფარავიგულაციის ჩამოთვლებს, ქანგბადისა და ნახშირორგანის რაოდენობის განმსაზღვრელ ხელსაწყოს, სისხლის დონის საზომსა და წამწომს. ძრავა მოთავსებულია აპარატის კორპუსში, იგი დფარულია თუნქის ჩარჩოთი.

ხელოვნური სისხლის მიმოქცევის სხვა აპარატებთან შედარებით სლოვაკურ აპარატს ის უპირატესობაც აქვს, რომ ოპერაციისათვის ვასაზადებლად შესაძლია მისი სტერილიზაცია ავტოკლავში.

პატარა ბავშვებზე (წონით 30 კგ-მდე) ოპერაციის წარმოების დროს აპარატის ასავსებლად საკმარისია 2100 მლ სისხლი, მოზრდილი ავადმყოფის ოპერაციის დროს კი — 4 ლ. გარდა ამისა, სათადარიგოდ ვინახავთ 2 ლ-მდე სისხლს.



ნახ. 2. ოქსიგენატორი

ოპერაციის წინ მოწმდება აპარატის წარმოებითი უნარი და ორგანიზმის წონისა და დაავადების ხასიათის მიხედვით დგება სათანადო მუშაობის რეჟიმი, რაც უნდა შეადგენდეს 50-80 მლ-ს ყოველ კგ წონაზე.



ორგანიზმთან აპარატის ჩართვის სქემა სხვადასხვა ავტორის განსხვავებულადაა აქვს მოცემული. ჩვენ ორივე ღრუ ვენაში მიღებს ვათავსებთ მარჯვენა წინაფულის ყუ-რიდან, ხოლო არტერიულ სისტემას ორგანიზმში ბარძა-ყის არტერიიდან ვთავაოთ.

ავლმკერდის ღრუს განაკვეთი ძირითადად ორი სა-ხის იხმარება: 1. მარცხნივ გულმკერდის ღრუ იხსნება მე-ოთხე ნეკნათაშუა არეში, ხოლო მარჯვნივ—მესამე ნეკნათა-შუა არეში. 2. შუაში იხსნება მკერდის ძვალ. უჯანსა-კნელ განაკვეთის ის უბარტესობა აქვს, რომ არ ხდება პლევრის ღრუს გახსნა და ოპერაციის შემდგომ პერიოდ-ში შედარებით ნაკლებია გართულებები ფილტვების მხრივ.

ოპერაციის დროს მუშაობაში ჩამშული საკმაოდ დიდი შტატი; ქირურგთა ორი ჯგუფი ორ-ორი კაცის შე-მადგენლობით თითოეულ მხარეს, რომელიც აწარმოებს შესაბამის პოზიციაზე მყოფისათვის უფრო მოსახერხებ-ელ მანიპულაციებს; გამოცდილი ნარკოტიკოზატორი, რომ-ელსაც ნარკოზი მიჰყავს ზერეულ — მსუბუქი ანალ-გეზის ფონზე; ფიზიოლოგების, ბიოქიმიკოსების, ჰემა-ტოლოგების ჯგუფი და ფიზიკოსი-ინჟინერი. წარმოებს არტერიული და ვენური წნევის რეღმივი კონტროლი. წინეა იზომება როგორც სისხლის მიმოქცევის დიდ წრე-ში — ბარძაყის არტერიიდან და ვენიდან, ასევე მკიერ წრეში — საულელ ვენიდან. იზომება მყაეე-ტუბტეთა წო-ნისწორითა — Ph-Ph-ის მცირედი დაკლებაც კი (7,2-7,14) ნახშირორჟანგის დაგროვებაზე მიუთითებს და იგი სიცოცხლისათვის მეტად სახიფათოა. ისაზღვრება სისხ-ლის აირები. დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოქიმიურ გა-მოკვლევებსაც — ტურტოვანი რეზერვის, პიროყურძნის, რძის მყაეასა და სხვა მანვენებლების განსაზღვრა, რომელიც ნივთიერებათა ცვლის პროცესის მდგომარეობა-ზე მიუთითებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და დღემდე გა-დაუტრელია სისხლის შეღდგენის პროცესის საკუთრის შესწავლა. არსებული გამოკვლევების მიუხედავად, გა-მოუტენობი რჩება აგრეთვე ოპერაციის შემდეგ ყველაზე ხშირი გართულებების — სისხლდენისა და თრომბოემ-ბოლური პროცესების — მიზეზი. მღმიდეი დაკვირვებ-ბის ქვეშაა ელექტროკარდიო- და ინციფალოგრაფიის მონაცემები.

მცდარია აზრი, რომ თითქოს ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატის კლინიკაში გამოყენება მთლიანად ამ აპარატის ღირებულებზე უნდა იყოს დამოკიდებული. ჩვენმა პირველმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მხო-ლოდ თანამშრომელთა კოლექტივის მიერ ექსპერიმენ-ტული, თანდათან შექმნილ-შერწყმული მუშაობის შე-დეგადაა შესაძლებელი ადამიანზე ოპერაციის წარმოება.

ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატის შემო-ღებით მედიცინაში სრულიად ახალი კვლევის ჰორიზონ-ი იშლება. იგი მოითხოვს კლინიკისტების, პათოფიზი-ოლოგების, ჰემატოლოგების, ბიოქიმიკოსებისა და ტექ-ნიკის დარგის წარმომადგენელთა ერთიან შეთანხმებულ შრომას.

ამჟამად ექიმების, ფიზიკოსებისა და ინჟინრების წი-ნაშე დგას ფრად საპატიო ამოცანა: შექმნან პორტატუ-ლი, თვითმარეგულირებელი აპარატი, რომელიც ორგა-ნიზმთან ჩართვის შემდეგ თვითონ წარმართავს მუშაო-ბას ისე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოგვეცემს მუშაობის სასურველ რეჟიმს.

**ქ. პილისუი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**მ. პუკაჩანაძე**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

აპირანტი **რ. ყანი**

## ფერლოგების დასატმარასეპელი ახალი გუთან

PI-5-35 გუთნის გადაკეთებით ტრაქტო-რისტიკა ი. რუსაკმა მიიღო ახალი მანქანა, რომელსაც შეუძლია იმუშაოს ციცაბო ფერ-ლოზე მანქანა და გორაკები აქციოს ვენახებდა და პალეზადა.

რა ცვლილებებია შეტანილი გუთანში? გუთნის ჩარჩოს სიგანე მარცხნივ გადიდებუ-ლია 35 სმ-ით. ჩარჩოს გასამკერებლად გარ-დიგარდომ დაყენებულია ორი რკინის ლა-ტინი, ხოლო ხუთი ფრთის ნაცვლად — სამი განივი ნიჩაბი, ორი ნიჩბის სიგრძეა 1,63 მ,

ერთისა — 3,6 მ. უკანა ნიჩბის წინ დაყე-ნებულია დანა.

ტერასის შექმნა შემდგენიარდა ხდება: მოპ-რაობს ტრაქტორი, დანა და ბოლო ნიჩაბი იჭრება ნიდაგში და ტრეებს კვალს. დანარ-ჩენი ორი ნიჩაბი ასუფთავებს მესამე ნიჩბით გაფხვიერებულ მიწას.

პრობლემას შეადგენდა კიდევ მეორე ტერა-სის შექმნა, რადგან ფერდობი მეტისმეტად ციცაბო ხდებოდა და ტრაქტორი შეიძლებოდა

ჩამოგორებულყო. რუსაკმა გუთანს მარჯვენა მხარეს დაუყენა კორპუსი-მარკვიი გადამღები თვლითა და სიღრმის სარეგულირებელი მე-ქანიზმი. ტერასირებისას კორპუსი-მარკვიი ავლებს კვალს, რომელზედაც ახალ ტერასზე ასკლის დროს მოძრაობს ტრაქტორის მარცხე-ნა მუხლუხა. ეს ამკირებს ტრაქტორის დაქა-ნებულობას და შესაძლებლობას იძლევა გა-მოყენებულ იწუნს იგი საკმაოდ ციცაბო ფერ-ლობის დატერასებისათვის.


### 3. ჯაპარიძე

ბერ თქვენგანს სატელევიზიო გადაცემის ნახვისას, ალბათ, დაბადებია კითხვა — ხომ არ შეიძლება ლაპარაკის ან მუსიკის მსგავსად ჩაწეროს სატელევიზიო გადაცემა? ამჟამად ეს საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია და არსებობს უკვე საქარხნო წარმოების სათანადო აპარატურაც. ექვს ვარეშეა, შირს არა ის დრო, როდესაც არა მარტო სატელევიზიო სტუდიებს, არამედ ტელემაყურებლებსაც საშუალება ექნებათ ტელეგადაცემა ჩაწერონ და შემდეგ ტელევიზორის ეკრანზე თავის ჩანაწერი დაინახონ. ვინაიდან სატელევიზიო პროგრამისა და ბგერის ჩაწერა-აღწერა დაახლოებით ერთნაირად წარმოებს, ამიტომ ჯერ ზოგადად განვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება ბგერის ჩაწერა-აღწერა.


1-ლ ნახ-ზე ნაჩვენებია ასეთი ხელსაწყო — მაგნიტოფონის ბლოკსქემა. M მიკროფონი ელექტრულ რბევებად გარდაქმნილი ბგერა საქირთა გამაძლიერებლით გარკვეულ სიდიდემდე ძლიერდებოდეს. გამძლიერებული ელექტრული სიგნალები ვადის (ნახ. 2) ჩაწერის თავის გრაგნილში და მასში ბგერის ცვლილებების პროპორციულ მაგნიტურ ველს ქმნის, ჩაწერის თავი, ფერომაგნიტის (მაგალითად, პერმალის) a და b ნაწილისაგან შემდგარ ფურცლოვან გულაზე დახვეულ cd გრაგნილზე ერთობლიობას წარმოადგენს.

